სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

25-26 ნოემბერი
2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და SIGMA-ს ერთობლივი ღონისძიებები ქუთაისსა და თბილისში

2015 წლის 25 და 26 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და SIGMA-ს (ევროკავშირისა და OECD-ის ერთობლივი ინიციატივა) ღონისძიებები გაიმართა. შეხვედრების თემა იყო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების თანახმად, AA/DCFTA ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ვალდებულებების შესრულებისთვის განხორციელებული და დაგეგმილი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები და 7 წლიანი სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაცია.

25 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის სხდომაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მიმდინარე რეფორმებისა და საკანონმდებლო უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციას მოუსმინეს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძემ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში აქტუალური პრობლემატიკისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ ისაუბრა. მან ხაზი გაუსვა ევროკავშირთან ასოცირებისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე, SIGMA-ს საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მომზადებულ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 7 წლიანი სამოქმედო გეგმის მნიშვნელობას და აღნიშნა:

„2014 და 2015 წლების მანძილზე მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში. ჩვენ შეგვიძლია გარდატეხის წლები ვუწოდოთ ამ პერიოდს, რადგანაც ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. უახლოეს ხანში წარდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განვითარების 7-წლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმის მომზადებაში SIGMA-ს ექსპერტები აქტიურად არიან ჩართულები.“

კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს სააგენტოს საქმიანობას და სამომავლოდ მსგავსი შეხვედრების კიდევ უფრო ფართო ფორმატში ჩატარების სურვილი გამოთქვეს.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სასურველია, ანალოგიური პრეზენტაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა პარლამენტის თბილისის სასახლეშიც გამართონ.

სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია, აგრეთვე, გაიმართა 26 ნოემბერს სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“, რომელსაც მთავრობის ადმინისტრაციის, სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელები და თანამშრომლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაცია გამართეს SIGMA-ს ექსპერტებმა - ქალბატონმა თეა კოლარმა და ბატონმა დენიელ ივარსონმა. ამ უკანასკნელის განცხადებით, საქართველომ შესყიდვების რეფორმის კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა. დენიელ ივარსონი: "საქართველო არის ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, ამის დასტურია ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება. ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი თავი სახელმწიფო შესყიდვებს ეხება. მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართულად მუშაობა, რადგან ერთი მხრივ, სახელმწიფომ სწორად დახარჯოს ფული, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებამ მიიღოს ეფექტიანი სახელმწიფო სერვისები. გარდა ამისა, შესყიდვები მნიშვნელოვანია ბიზნესისა და ეკონომიკური განვითარებისათვის. საქართველომ სახელმწიფო შესყიდვების განვითარების კუთხით საკმაოდ შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა და იმედი მაქვს, ეს განვითარება მომავალშიც გაგრძელდება".